დანართი 2[1]

სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები

N	**საერთო სანებართვო პირობები**	**შენიშვნა**
1	ფართობი ერთ სტაციონარულ საწოლზე არანაკლებ 40 კვ.მ შიდა პერიმეტრზე გაანგარიშებით	
2	ფართობი პალატაში ერთ პაციენტზე – არანაკლებ 8 კვ.მ, პედიატრიული პაციენტებისათვის განკუთვნილ პალატაში – არანაკლებ 6 კვ.მ	
3	საწოლებს შორის დაშორება – მინიმუმ 1,2 მ	
4	პალატა უნდა იყოს იზოლირებული, დაუშვებელია ერთმანეთში გამავალი პალატების არსებობა	
5	პალატას უნდა გააჩნდეს ბუნებრივი განათების წყარო	
6	დერეფნის სიგანე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1,8 მ პაციენტთა ეტლით გადაადგილების უზრუნველსაყოფად	
7	არანაკლებ ერთი ბოქსირებული პალატა ინფექციური ავადმყოფების დროებითი იზოლაციისათვის	
8	მოზრდილთა და ბავშვთა პალატები/განყოფილება – ერთმანეთისაგან გამიჯნული	
9	ფუნქციონირებადი ლიფტი (მ.შ., მწოლიარე ავადმყოფებისათვის) – პალატების, პაციენტთა გამოკვლევისა და სამკურნალო განყოფილებების ორზე მეტ სართულზე განლაგების შემთხვევაში; პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის	
10	იზოლირებული სათავსი გვამის დროებითი განთავსებისათვის	
11	ინფრასტრუქტურა და საშუალებები პერსონალისა და პაციენტის პირადი ჰიგიენის დაცვის, შენობის დასუფთავებისა და დეზინფექციისათვის (წყალმომარაგება, საპირფარეშოები – თითოეულ სართულზე – არანაკლებ ორი სანიტარიული კვანძი, ჰიგიენისა და სადეზინფექციო საშუალებები)	
12	სავენტილაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საოპერაციო ბლოკში, სარეანიმაციო განყოფილე-ბაში, ბოქსირებულ პალატაში, ფთიზიატრიულ და	აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს 2012 წლიდან

	ინფექციურ განყოფილებაში წნევათა სხვაობის ისეთ რეჟიმს, რომ არ მოხდეს ჰაერის გადადინება ნაკლებად სუფთა სათავსებიდან	
13	დეზინფექციისა და სტერილიზაციის (მრავალჯერადი გამოყენების სამედიცინო იარაღების, საგნებისა და მასალებისათვის) სათანადო რეჟიმითა და აღრიცხვით უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
14	სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო სეგრეგაციის, შეგროვების, შენახვის, გატანის, უტილიზაციის ან/და განადგურების კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფა	შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელება
15	ნოზოკომიური ინფექციების აღრიცხვის, მართვის, ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად	
16	სათავსთა განლაგება, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტისა და პერსონალის მოძრაობის ნაკადურობას, რათა არ მოხდეს „სუფთა“ და „ჭუჭყიანი“ ზონების გადაკვეთა	აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს 2012 წლიდან
17	აღჭურვილობა განათებისა და სტაბილური ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველსაყოფად	აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს 2012 წლიდან
18	უწყვეტი ელექტრომომარაგება; ელექტროენერგიის ავტონომიური წყარო გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისათვის (რეანიმაცია, საოპერაციო და სამეანო ბლოკები, ლიფტი, მიმღები)	აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს 2012 წლიდან
19	უწყვეტი წყალმომარაგება	აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს 2012 წლიდან
20	ლაბორატორიული ტესტების/კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა 24-საათიან რეჟიმში: სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი, სისხლის ჯგუფობრიობის, რეზუს-ფაქტორისა და შედედების დროის, შაქრის რაოდენობის განსაზღვრა სისხლში,	შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახუ-

	აგრეთვე, პროფილის გათვალისწინებით, – სტანდარტული ტესტები	რების სხვა მიმწოდე-ბელთან ხელშეკრუ-ლების საფუძველზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო საქ-მიანობის დროული და ოპერატიული განხორ-ციელება
21	კლინიკური ტრანსფუზიოლოგიის სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია განხორ-ციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებ-ლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახუ-რების სხვა მიმწოდე-ბელთან ხელშეკრუ-ლების საფუძველზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელება
22	სამედიცინო და სტატისტიკური დოკუმენტაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოება	
23	რენტგენოსკოპიული და რენტგენოგრაფიული სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია განხორ-ციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებ-ლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსა-ხურების სხვა მიმწოდე-ბელთან ხელშეკრუ-ლების საფუძველზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელება. არ მოეთხოვება ნარკო-ლოგიური, დერმატო-ლოგიური, ფსიქია-ტრიული, ოფთალმო-ლოგიური და სამეანო-გინეკოლოგიური საქმიანობებისას

24	კარდიოგრაფი	არ მოეთხოვება ნარკოლოგიური, დერმატოლოგიური, ფსიქიატრიული, ოფთალმოლოგიური და ოტორინოლარინგოლოგიური საქმიანობებისას
25	ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელება. არ მოეთხოვება ნარკოლოგიური, დერმატოლოგიური, ფსიქიატრიული, ოფთალმოლოგიური და ოტორინოლარინგოლოგიური საქმიანობებისას
26	სამედიცინო პერსონალი, რომელთა სერტიფიკატი/კვალიფიკაცია აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	
27	საწოლი ინტენსიური თერაპიისათვის	
28	საევაკუაციო გასასვლელი	
29	რეფერალურ ქსელში ჩართულობის გეგმა	დოკუმენტი, რომელსაც განსაზღვრავს ნებართვის მაძიებელი/მფლობელი და რომელიც მოიცავს იმ ღონისძიებებისა და სერვისების მიმწოდებლების ჩამონათვალს, რომლებიც აუცილებელია პაციენტის ადეკვატური მიმართვის/გადაყვანისათვის

	დამატებითი სანებართვო პირობები	
I	**ინტერვენციული კარდიოლოგიის შემთხვევაში დაწესებულებას დამატებით უნდა გააჩნდეს**	
	ანგიოკარდიოგრაფიული (კათეტერიზაციის) ლაბორატორია	
II	**დიალიზის შემთხვევაში დაწესებულებას დამატებით უნდა გააჩნდეს**	
1	ხელოვნური თირკმლის აპარატი	
2	სისტემა წყლის გაწმენდისა და კონცენტრაციის მომზადებისათვის	
3	შესაბამისი სავარძელი	
III	**ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებას დამატებით უნდა გააჩნდეს**	
	ერთადგილიანი ბოქსირებული პალატა რაბითა და სანიტარიული კვანძით განსაკუთრებით საშიში ინფექციებისათვის	
	ფთიზიატრიული მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს	
1	პალატები, სადიაგნოსტიკო და საკონსულტაციო კაბინეტები, აღჭურვილი ვენტილაციით (რომელიც უზრუნველყოფს უარყოფით წნევას)	
2	მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტებისათვის – ცალკე გამოყოფილი ფართობი იზოლირებული პალატებით, რომლებიც უზრუნველყოფილ იქნება კონტროლი-რებადი უარყოფითი წნევით და ჰაერის შემდგომი გაუვნებელყოფის საშუალებებით	
IV	**ნეონატოლოგიური მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს**	
1	15-ზე ნაკლები შესაბამისი საწოლის შემთხვევაში – მინიმუმ 1 ინკუბატორი, 15 და მეტი საწოლის შემთხვევაში – მინიმუმ 2 ინკუბატორი ყოველ 15 შესაბამის საწოლზე	
2	ნეიროსონოსკოპი	
3	რეანიმაციული სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია გან-ხორციელდეს უშუ-ალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლო-ბელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების

		საფუძველზე ისე, რომ უზრუნველ-ყოფილი იყოს სამედიცინო საქმია-ნობის დროული და ოპერატიული გან-ხორციელება
V	**ონკოლოგიური მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს**	
1	სხივური და ქიმიოთერაპიული სერვისების უზრუნველყოფა	შესაძლებელია გან-ხორციელდეს უშუა-ლოდ ნებართვის მაძიებლის/მფლო-ბელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ უზრუნველ-ყოფილი იყოს სამედიცინო საქმია-ნობის დროული და ოპერატიული გან-ხორციელება
2	პათომორფოლოგიური სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია გან-ხორციელდეს უშუა-ლოდ ნებართვის მაძიებლის/მფლო-ბელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ უზრუნველყო-ფილი იყოს სამედი-ცინო საქმიანობის დროული და ოპერა-ტიული განხორ-ციელება

VI	**ფსიქიატრიული მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს**	
1	ფსიქონევროლოგიური განყოფილება უნდა იყოს იზოლირებული სხვა სომატური განყოფილებებისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
2	კაბინეტები და სათავსები ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისათვის	
3	უსაფრთხოების დაცვის პირობები	
VII	**ქირურგიული პროფილის მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს**	
1	საოპერაციო ბლოკი, უზრუნველყოფილი სამედიცინო დანიშნულების აირების მიწოდების უსაფრთხო ქსელით და დაგეგმილი განათებით	
2	საოპერაციო დარბაზში მიწოდებული ჰაერი დამუშავებული უნდა იყოს სპეციალურ გამაუვნებელმყოფელ მოწყობილობაში, რომელიც იძლევა ჰაერში არსებული მიკროორგანიზმებისა და ვირუსების 95 %-ის ინაქტივაციას	
3	პოსტოპერაციული პალატა	შერეული (ბავშვთა და მოზრდილთა) სერვისების შემთხვევაში – ბავშვებისათვის ცალკე პალატა
4	მოწყობილობა ანესთეზიისათვის	
5	რეანიმაციული სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელება
6	პათომორფოლოგიური სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია განხორციელდეს უშუ-

		ალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლო-ბელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ უზრუნველ-ყოფილი იყოს სამე-დიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული გან-ხორციელება
VII[1]	**ნეიროქირურგიული მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს**	
	მაღალტექნოლოგიური კვლევის უზრუნველყოფა, მომსახურების სპეციფიკის გათვალისწინებით (კომპიუტერული ტომოგრაფი ან/და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი (MRI) და სხვ.)	შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებარ-თვის მაძიებ-ლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ უზრუნველ-ყოფილი იყოს სამე-დიცინო საქმიანობის დროული და ოპერა-ტიული განხორ-ციელება
VII[2]	**ორგანოებისა და ქსოვილების აღების, შენახვის, გადანერგვის შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს**	
1	მაცივარი ორგანოებისა და ქსოვილების შესანახად	
2	თირკმლის გადანერგვის შემთხვევაში – დიალიზის სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართ-ვის მაძიებ-ლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე ისე,

		რომ უზრუნველ-ყოფილი იყოს სამედიცინო საქმია-ნობის დროული და ოპერატიული განხორციელება
VIII	**სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს**	
1	საოპერაციო ბლოკი დაგეგმილი განათებით	
2	საოპერაციო დარბაზში მიწოდებული ჰაერი დამუშავებული უნდა იყოს სპეციალურ გამაუვნებელმყოფელ მოწყობილობაში, რომელიც იძლევა ჰაერში არსებული მიკროორგანიზმებისა და ვირუსების 95 %-ის ინაქტივაციას	
3	პოსტოპერაციული პალატა	
4	მოწყობილობა ანესთეზიისათვის	
5	რეანიმაციული სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია გან-ხორციელდეს უშუ-ალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლო-ბელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების სა-ფუძველზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო საქმიანობის დროუ-ლი და ოპერატიული განხორციელება
VIII[1]	**სამეანო მომსახურების შემთხვევაში დამატებით მოეთხოვებათ**	
1	სხვა სერვისების მიმწოდებელი განყოფილებებისაგან დამოუკიდებელი მიმღები	
2	სამშობიარო ბლოკ-პალატა	
3	ნეონატოლოგიური სერვისი	
IX	**რეანიმაციული მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს**	
1	სარეანიმაციო დარბაზი დაკვირვების ავტომატური სისტემით, ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების (პულსისა და სუნთქვის სიხშირე, რითმი, არტერიული წნევა) უწყვეტი მონიტორინგისათვის	შერეული (ბავშვთა და მოზრდილთა) სერვისების შემთხვევაში – ბავშვებისათვის

		ცალკე სარეანიმაციო დარბაზი
2	რეანიმაციის განყოფილების უზრუნველყოფა სამედიცინო დანიშნულების აირების მიწოდების უსაფრთხო ქსელით	
3	ინფექციური პაციენტებისათვის – იზოლირებული რეანიმაციული საწოლი	
4	მოწყობილობები რეანიმაციისათვის: სარეანიმაციო საწოლი, ხელოვნური სუნთქვის აპარატი, ჟანგბადის წყარო, ლარინგოსკოპი და ენდოტრაქეალური მილები, დეფიბრილატორი	
X	**გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საქმიანობის შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს (EMERGENCY)**	
1	საოპერაციო მცირე ოპერაციებისა და ინვაზიური ჩარევებისათვის	
2	დაკვირვების ავტომატური სისტემა ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების (პულსისა და სუნთქვის სიხშირე, რითმი, არტერიული წნევა) უწყვეტი მონიტორინგისათვის	
3	შემდეგი მოწყობილობები რეანიმაციისათვის: სარეანიმაციო საწოლი, ხელოვნური სუნთქვის აპარატი, ჟანგბადის წყარო, ლარინგოსკოპი და ენდოტრაქეალური მილები ყველა ასაკისათვის, დეფიბრილატორი	
4	პაციენტთა დროებითი დაყოვნების პალატა/დარბაზი	ერთ პაციენტზე არანაკლებ 6 კვ.მ ფართობით
5	პრეჰოსპიტალური სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელება

XI	**რადიოლოგიური, მათ შორის, რენტგენოლოგიური, მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს**	
	რენტგენის კაბინეტის საპროცედუროები, სხივური თერაპიისა და რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკის ლაბორატორიები, სადაც განთავსებულია მაიონებელი გამოსხივების წყაროები, არ შეიძლება იყოს ორსულთა და ბავშვთა პალატების მიმდებარედ	
XII	**ოფთალმოლოგიური მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს**	
1	საოპერაციო	
2	მოწყობილობა ანესთეზიისათვის	
XIII	**ოტორინოლარინგოლოგიური მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს**	
1	საოპერაციო	
2	მოწყობილობა ანესთეზიისათვის	